



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 191/ს
02/05/2023

191-21-4-202305021427



სამტრედიის მუნიციპალიტეტში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ქ. სამტრედიისა და მიმდებარე ტერიტორიების საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ქ. სამტრედიისა და მიმდებარე ტერიტორიების საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, ქ. სამტრედიის და მიმდებარე ტერიტორიების საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების მართვის გაუმჯობესების მიზნით, გათვალისწინებულია 800 ჰა ფართობზე 140 000 მ სიგრძის საკანალიზაციო ქსელისა და 22 414 ადამიანზე გათვლილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა. საპროექტო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის განთავსება დაგეგმილია კომპანიის საკუთრებაში არსებულ 83 471 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 34.08.60.011). უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო გამწმენდი ნაგებობის განთავსების ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 223 მეტრით, ხოლო უშუალოდ გამწმენდი ნაგებობის განთავსების ადგილიდან - 430 მეტრით. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ გამწმენდი ნაგებობის განთავსების ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 100 მეტრში მიედინება მდ. ცხენისწყალი, ხოლო 290 მეტრში - მდ. რიონი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია ძველი გამწმენდი ნაგებობის ადგილას, თუმცა, დოკუმენტში შესაბამისი GPS კოორდინატები წარმოდგენილი არ არის. გამწმენდი ნაგებობის სიმძლავრე იქნება 22 414 მოსახლის ეკვივალენტი. გამწმენდი ნაგებობიდან

ჩამდინარე წყლის ჩაშვება გათვალისწინებულია მდ. ცხენისწყალში. დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები და ჩამდინარე წყლის რაოდენობრივი მაჩვენებლები. გარდა ამისა, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია გამწმენდი ნაგებობიდან მდ. ცხენისწყალში წყალჩაშვების ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ. ამასთან, ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესი ბუნდოვანია და დასაზუსტებელია გამწმენდი ნაგებობის ეფექტურობის საკითხი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, პროექტის ფარგლებში დაახლოებით 800 ჰა ფართობის მქონე ტერიტორიაზე დაგეგმილია 140 000 მ სიგრძის საკანალიზაციო ქსელის მოწყობა, რომელიც 4 ძირითადი და 12 მიკრო სატუმბი სადგურის მეშვეობით დაუკავშირდება საპროექტო გამწმენდ ნაგებობას. საკანალიზაციო ქსელი მოეწყობა 200, 250, 300 და 600 მმ დიამეტრის მქონე „PVC“-ის მილებით. დოკუმენტის თანახმად, საკანალიზაციო სისტემის მოწყობა გათვლილია იმგვარად, რომ მილების დახრილობისა და ზომის გათვალისწინებით, შენარჩუნდეს ნაკადი ჩაშვების პუნქტისკენ ჭების ან მილში წნევის გაზრდის საჭიროების გარეშე. სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ტუმბოების წარმადობა და წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საკანალიზაციო ქსელზე მოსაწყობი ჭების შესახებ. ამასთან, დოკუმენტის მიხედვით, ჩამდინარე წყლების გამწმენდ ნაგებობაზე მოეწყობა ფეკალური მასის მიმღები სეპტიკური სადგური, სადაც გათვალისწინებულია ბალდათიდან, ვანიდან, მახლობლად მდებარე სხვა სოფლებიდან და საირმოდან სტაბილიზებული ლამის მიღება. დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია ფეკალური მასის მიმღები სეპტიკური სადგურისა და მიღებული ლამის საერთო რაოდენობის შესახებ. გარდა ზემოაღნიშნულისა, სკრინინგის განცხადებაში გაურკვეველია გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ფეკალური ლამის სტატუსი და არ არის დაზუსტებული მისი შემდგომი მართვის ღონისძიებები, რაც საჭიროებს სათანადო შეფასებასა და დასაბუთებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, პროექტის ფარგლებში ფეკალური ლამის გამოშრობისა და სტაბილიზაციისათვის გათვალისწინებულია სალამე გამწვანებული მოედნების მოწყობა, თუმცა, აღნიშნული მოედნების რაოდენობის, ფართობის, ადგილმდებარეობის და განსათავსებელი ლამის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. გარდა ამისა, დოკუმენტში ასევე განხილულია ავზებში ლამის მექანიკური გაუწყლოების შესაძლებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასაზუსტებელია ლამის გაუწყლოების ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ ინფორმაცია და შესაბამისად, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები იყოფა 4 ეტაპად: ძველი გამწმენდი ნაგებობისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის დემონტაჟი და ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა; სამშენებლო მოედნის მომზადება მშენებლობისთვის; სამშენებლო ბანაკის მოწყობა; მშენებლობა. სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 2-3 წელს და დასაქმებული იქნება დაახლოებით 100 ადამიანი. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოეწყობა შემდეგი

ინფრასტრუქტურული ობიექტები: ავტოსადგომი, სასაწყობე მეურნეობა, საოფისე ოთახები, მუშა-მოსამსახურეთა ტანსაცმლის გამოსაცვლელი ოთახი, მოსასვენებელი ოთახი, საპირფარეშო, სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტი, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობების ადგილი, ბეტონის მანქანის ნარეცხი წყლის შესაგროვებელი ორმო. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობისა და აღნიშნული ბანაკის მოწყობითა და ექსპლუატაციით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ, რაც დამატებითი შესწავლის საგანია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე, ავტოტრანსპორტისა და სამშენებლო ტექნიკის ექსპლუატაციის შედეგად. ვინაიდან, საკანალიზაციო ქსელის განთავსება გათვალისწინებულია მჭიდროდ დასახლებულ უბნებში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის/ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების შემცირების მიზნით გატარდება სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები: დაცული იქნება ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარე, შეიზღუდება დასახლებულ პუნქტებში გამავალი საავტომობილო გზებით სარგებლობა, გაკონტროლდება სამშენებლო მასალების დატვირთვა-გადმოტვირთვის სიმაღლეები, ამტვერებადი მასალების ტრანსპორტირება განხორციელდება ძარაგადახურული ავტოთვითმცლელელებით, ინტენსიური ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში, შეიზღუდება ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროების ერთდროული მუშაობა, ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროები განთავსებული იქნება დახურულ სათავსოებში და სხვა. დოკუმენტის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ და ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან. თუმცა, საპროექტო გამწმენდი ნაგებობის ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე, გამწმენდ ნაგებობას გააჩნია ხმაურის გავრცელებისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროები (მაგ. ცხაურა, ტუმბოები და სხვა.), შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და დამატებით შესწავლას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ეტაპზე, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას, მათი მართვა (შენახვა და განთავსების ან აღდგენის მიზნით შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა) განხორციელდება კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმდება ნარჩენების მართვის გეგმა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე იმ ტერიტორიებზე, სადაც წარმოდგენილი იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, მოხდება მისი მოხსნა, თუმცა, დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია მოსახსნელი ნიადაგის

ნაყოფიერი ფენის მოცულობის, სიმძლავრის, დასაწყობების პირობებისა და შემდგომი მართვის შესახებ. სკრინინგის განცხადებაში ასევე არ არის მოცემული ინფორმაცია პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების პროცესში ექსკავირებული გრუნტის მოცულობისა და შემდგომი მართვის შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას.

წარმოდგენილი დოკუმენტის გეოლოგიურ ნაწილში მოცემული რუკები არ არის გარჩევადი, მათზე არ არის დატანილი საკვლევი ტერიტორია, ასევე, რუკებზე მითითებული წარწერები არ არის შესრულებული სახელმწიფო ენაზე, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საშიში გეოდინამიკური პროცესების თავიდან ასაცილებლად, დაგეგმილი საქმიანობა უნდა განხორციელდეს სამშენებლო მოედანზე ჩატარებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევების საფუძველზე შედგენილი პროექტის მიხედვით.

სკრინინგის განცხადებაში არ არის ასახული ინფორმაცია პროექტის გავლენის ტერიტორიაზე გავრცელებული მცენარეებისა და ცხოველების, დაგეგმილი საქმიანობით მათზე შესაძლო ზემოქმედების და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ. დოკუმენტში ასევე დასაზუსტებელია საქმიანობის ფარგლებში ხეების ჭრის საჭიროების საკითხი. შესაბამისად, პროექტის განხორციელების შედეგად ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას.

დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების შესახებ.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, წარმადობის, მასშტაბისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, მოსალოდნელია გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რაც საჭიროებს დამატებით შესწავლას, შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას. ამასთან, დოკუმენტში დასაზუსტებელია საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.6 ქვეპუნქტის და მე-10 პუნქტის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ქ. სამტრედიისა და მიმდებარე ტერიტორიების საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამტრედიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო